№ 65

ხუთშაბათი, 23 მარტი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 65

ხუთშაბათი, 23 მარტი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“. განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი,

წესდების მე-91 §-ის ძალით, ამით აუწყებს ბ-ნთ ბანკის რწმუნებულთ, რომ ამა 1900 წლის 26 აპრილს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია საზოგადო მორიგი კრება. კრება მოხდება ტფილისში, ბანკის სადგომში. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი მოხსენებანი:

1, ბანკის 1899 სამოქმედო წლის ანგარიში და ამ ანგარიშის შესახებ მოხსენება ბანკის გამგეობისა.

2, ბანკის ამა მიმდინარე წლის ხარჯ-აღრიცხვა.

3, მოხსენება საზოგადო საჭიროებისათვის თანხის განაწილების შესახებ.

4, მოხსენება სასოფლო-სამეურნეო თანხის განაწილების შესახებ.

5, მოხსენება ბანკის დამფასებელ კომისიის წევრთა გამრავლების შესახებ და ამასთანავე დაკავშირებულ მათის ჯამაგირის რაოდენობის შეცვლისა გამო.

6, მოხსენება ბანკის 25 წლის მოღვაწეობის სახსოვარ-საყოფელად მის მოხელე-მოსამსახურეთა დაჯილდოვების გამო.

7, მოხსენება კრედიტის გაიაფების თაობაზედ.

8, მოხსენება წესდების ზოგიერთ §-ის შეცვლის გამო, იმ აზრისამებრ, რომ ბანკს უფლება მიეცეს მის მიერვე გამოცემული გირავნობის ფურცლები ბირჟაზედ შეისყიდოს თავის გასასტუმრებელ თანხის ხარჯით.

9, მოხსენება ბანკის ბაქოს სააგენტოს შესახებ.

ამას გარდა რწმუნებულთა კრებამ უნდა ამოირჩიოს ზედამხედველ კომიტეტის ყველა წევრნი, აწინდელთა ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ, გამგეობის თავმჯდომარე, თავ. ი. გ. ჭავჭავაძის ნაცვლად, და წევრი (თავმჯდომარე) დამფასებელ კომისიისა, კ. ლ. ფურცელაძის ნაცვლად, და მისი კანდიდატი; გამგეობიდგან გასულის პ. რ. ყიფიანის ნაცვლად გამგეობის ერთი წევრი და მისი კანდიდატი და თავ. ნ. ა. თუმანიშვილის ნაცვლად, რომელიც ვადამდე თავისის სურვილით ანებებს თავს სამსახურს, დამფასებელ კომისიის ერთი წევრი და მისი კანდიდატი.

სხოლიო: კრება კანონიერი იქმნება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს. (3—6.—2)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთეს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. გ. მალალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ უმაღლესის ბრძანებით ნიჟეგოროდის მე-44 რაზმის კორნეტს თავად ამილახვარს—პორუჩიკობა; სევერსკის მე-45 რაზმის შტაბს-როტმისტრს მიხეილ კობიაშვილს—როტმისტრობა და იმავე რაზმის პორუჩიკს წულუკიძეს—შტაბს-როტმისტრობა.

## ახალი ამბავი

—

*** გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ გუშინ, 22 მარტს, განიხილა კომისიისაგან შემუშავებული წესდება თავად-აზნაურთა მამულებისა და ქონების მართვის შესახებ. ბევრი კამათი გამოიწვია კომისიის წევრის თავ. ვახვახიშვილის კერძო მოსაზრებამ, რომელშიაც იგი აცხადებდა, რომ შეცვლილ იქმნას ამ წესდების მე-7 § ისე, რომ მიეცეს ნება მამულების გამგე კომისიას, როგორც საჭიროდ დაინახავს, მოიწვიოს ჯამაგირით გარეშე, ან ამოირჩიოს თავიანთ შორისვე ერთი წევრი, რომელსაც დაავალოს თავად-აზნაურთა მამულების დაახლოვებით მართვა-გამგეობის საქმე. ზოგნი არ დასთანხმდნენ ჯამაგირის დანიშვნის ნება-რთვას და ითხოვდნენ დატოვებულ იქმნას მე-7 § შეუცვლელადო. თითქმის საათნახევრის კამათის შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით მოიწონა კომისიისაგან შემუშავებული წესდება.

შემდეგ წაკითხულ იქმნა დრამატიულ საზოგადოების განცხადება, რომლითაც იგი სთხოვდა თავად-აზნაურთა კრებას, დაუთმეთ უსასყიდლოდ დრამატიულ საზოგადოებას

## ფელეტონი

—

### ჟოზეტტა მარსენი.

(ერნესტო დოდეს ისტორიული მოთხრობა)

(შემდეგი *)

II

ჟოზეტტას აზრად მოუვიდა როლანდ დე ბელლიევრის თავისს აგარაკში დამალვა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ლამაზის როიალისტის დახმარების სურვილს გამოეწვია. ბარრას დარბაზად ყოფნის და მასთან ბაასის დროს მოიაზრა და მოიფიქრა ყოველივე ეს და მისგან დაპირებული ნება-რთვა ქალაქ გარეთ გასვლისა კი აიმედებდა ჟოზეტტას, რომ როლანდს შეუმჩნევლად გააპარებდა ქალაქიდგან.

საშინელი მღელვარება, რომელიც შეუყენებელის ძალით მოსდებოდა მისს არსებას, კარგა ხანს არ აძლევდა ძილის ნებას. აღელვებდა არა იმდენად ამ ძნელის საქმის გაბედვა, რამდენადაც ის ძლიერი და ჯერ კიდევ გამოურკვეველი გრძნობა, რომელმაც დაიმონა-დაიმორჩილა მისი გული, მთელი მისი არსება. ბოლოს, როდესაც კარგა წვალების შემდეგ დამამშვიდებელმა ძილმა თანდათან მოუხუჭა თვალები, მომხიბლავი სურათი ყმაწვილის კაცისა ნელ-ნელა იპყრობდა მისს გულს, მისს გონებას. მეორე დღეს-კი, გამოღვიძებისას, აშკარად იგრძნო, რომ იგი სამუდამოდ როლანდს ეკუთვნოდა და მარტო იმასთან ერთად შეეძლო სიცოცხლე, ყოველივე ეს-კი, ერთად აღებული ურკვეცებდა როლანდის გადარჩენის წადილს.

ყოველივე იმისის სურვილისამებრ ხერხდებოდა. გათენებისას შევიდა როლანდთან და უამბო მის გადასარჩენად მოგონილი ხერხი, თუმცა-კი, ამასთანავე, ყოველის ღონისძიებით სცდილობდა არ ეგრძნობინებინა ნამდვილი მიზეზი, რომლისთვისაც იღებდა ამ საქმეში ასეთს მონაწილეობას. როლანდი კი, განუზომელის მადლობით სავსე თავისის მფარველის მიმართ, წინდაწინვე ეთანხმებოდა.

მგზავრობამ მშვიდობით ჩაიარა. როდესაც აგარაკად მივიდნენ, ჟოზეტტა თვით გაუძღვა წინ როლანდს და მისთვის დანიშნულ, სახლის მეორე სართულის საკმაოდ მოზრდილს ოთახში შეიყვანა. ამ ოთახში ჯერ არავინ მდგარიყო.

როლანდმა აქ-კი თავი ველარ შეიმაგრა. დაიჩოქა ქალის წინ, ჩამოართვა ორივ ხელები და მხურვალედ დაუწყო კოცნა. თან ხმა-დაბლა იმეორებდა:

— რითი შემიძლიან როდისმე გადაგიხადოთ ყველა ეს?

— გინდათ იცოდეთ? მომეცით საშუალება თქვენის გაქცევის საქმე მშვიდობიანად დავაბოლოვო.

— მიბძანეთ, ხმის ამოუღებლად აღვასრულებ ყოველსავე!..

— ადექით ჯერ,—გააწყვეტინა ჟოზეტტამ, რომელზედაც აშკარად სჩანდა, რომ საკმაოდ ჰმოქმედებდა როლანდის გულ-მხურვალე ალერსი, რადგან მაშინვე ალმურმა აჰკრა სახეზედ. როგორც თქვენ, ისე მეც ამ ჟამად სრული სიმშვიდე და სიმტკიცე გვესაჭიროება, ახლა, როდესაც საქმე თქვენს საზღვარ-გარეთ წასვლაზეა მიმდგარი, მით უმეტეს, რომ ეს სახლი თქვენთვის მარტო დროებითს თავ-შესაფარს წარმოადგენს...

— დიდად ვწუხვარო,—მიუგო ყმაწვილმა კაცმა და ფეხზედ წამოდგა. ნაღვლიანად მიავლ-მოავლო თვალი ოთახს: მე-კი დიდის სიამოვნებით დავრჩებოდი აქ... რასაკვირველია, მხოლოდ თქვენთან ერთად... დაუმატა იმან თითქმის ნელის ხმით.

— ჩემთან ერთად?—დაეკითხა თავისის მხრივ ქალი: მერე რა პირობით?

— იმ პირობით, რა პირობითაც თქვენ მოისურვებდით. მარტო ჩემგან რომ იყოს დამოკიდებული ეგ საქმე, ოო, კარგად ვიცი, რა პირობასაც დაგიდებდით!..

— მერე ეგ ხომ სიყვარულის გამოცხადება გამოდის!—სიცილით წამოიძახა ჟოზეტტამ და სცდილობდა დაემალა როგორმე ამ სიცილში მღელვარება, რომელიც წუთით-წუთზედ მომეტებულის ძალით ედებოდა მისს გულს.

— დიახ, სიყვარულის გამოცხადებაა!..—გააწყვეტინა როლანდმა: მაგრამ გევედრებით, მითხარით, დავიჯერო არ მოელოდდით ამას?

გაჩუმებული ქალი კარგა ხანს ხმას არ იღებდა. როლანდის სიტყვები ნაზ და მათრობელ ნაკადულსავით მოედო მისს არსებას და ისეთის განუზომელის სიამოვნებითა და ალტაცებით აღავსო, რომ ამ გრძნობისათვის წინააღმდეგობა ველარ გაეწია. ამ დროს როლანდმა რამდენიმე ნაბიჯი წინ წასდგა და ის იყო ხელების მოხვევას უპირებდა, რომ ჟოზეტტამ ხელის მიგებებით შეაყენა და დაცინვით წასჩურჩულა:

— თავისუფალი არა ვარ, როლანდ... და ეს მგონი თქვენც კარგად იცით.

— ჰო, დამავიწყდა, რომ თქვენ მოქალაქე ბარრას ეკუთვნით! წარმოსთქვა ყმაწვილმა კაცმა დაღვრემით.

— ბარრა დღეს საღამოზედ აქ იქნება,—განაგრძო ქალმა. საჭიროდ მიმაჩნია ამ ოთახში დაგტოვოთ კარებ-ჩაკეტილი იმის აქ ყოფნის დროს...

— მაშ როგორც სჩანს, ღამესაც აქ გაათევსო?—უკმეხად ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა და მეტის-მეტის გაშმაგებით თვალები უელვარებდა.

ამ სიტყვების გაგონებაზედ ჟოზეტტა მთლად აცახცახდა, თითქოს საშინელი უპატიურება მიაყენესო და სიმწარით თვალებზედ ცერის სიმსხო ცრემლები გადმოეკიდა. ის უცებ შეიპყრო საყვარელის კაცის წინაშე თავის გამართლების ძლიერმა სურვილმა, წელში გასწორდა და ამაყად მიუგო:

— ბარრას საყვარლადა მთვლით?

— ყველანი ასე ჰფიქრობენ...

— რომ სცდებოდნენ ყველანი...

*) იხ. „ივერია“ № 60.

კანტორისათვის ქარვასლაში ის ერთი ოთახი, რომელშიაც ეხლა საზოგადოება ქირად 140 მანეთს იხდისო. კრებამ ერთ-ხმად შეიწყნარა დრამატიული საზოგადოების თხოვნა. წაკითხულ იქმნა წარსულ 1899 წლის თავად-აზნაურთა მამულების შემოსავალ-გასავლის ანგარიში და აგრეთვე ამა 1900—1902 წლების მამულების შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. ანგარიშიდგან ცნობები უკვე გვქონდა დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. კრებამ ერთ-ხმად დაამტკიცა როგორც ანგარიში, ისე მომავალ წლების ხარჯთ-აღრიცხვა.

მერე კრებამ მოისმინა „ამიერ-კავკასიის 1861 წლის გამიჯვნის დებულებისა და 1897 წლის 26 მაისის კანონის დამატებითი წესები ტფილისის გუბერნიაში მიწების გამიჯვნის შესახებ“, მოიწონა იგი და დაადგინა წარდგენილ იქმნას უმაღლესის მთავრობის წინაშე მისდა განსახილველად და დასამტკიცებლად. დასასრულ კრებას მოხსენდა სათავად-აზნაურო პურის მაღაზიების დაარსების საქმე. ვითარება ამ საქმისა ეს არის: ამ რამდენისამე წლის წინად თავად-აზნაურობამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა, რომ სათავად-აზნაურო პურის მაღაზიები დაარსდეს ისევე, როგორც გლეხთა პურის მაღაზიები არსებობს. აღძრულ იქმნა ასეთი შუამდგომლობა, მაგრამ სამინისტრომ უკანვე დააბრუნა, რადგან შუამდგომლობა იმ წესით არ არის აღძრული, რომელიც კანონშია ნაჩვენებიო. მოისმინა რა ეს კრებამ, დაადგინა: რადგან სამინისტროს არსებითად არ განუხილავს ჩვენი თხოვნა, კვლავ იქმნას აღძრული ეს კანონიერის წეს-რიგით შუამდგომლობა, რომ ტფილისის გუბერნიაში სათავად-აზნაურო პურის მაღაზიები დაარსდესო.

დასასრულ კრებამ მოისმინა მოხსენება იმის შესახებ, რომ ამორჩეულ იქმნას კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრად საიუბილეო დღესასწაულის წეს-რიგის შემუშავება. ამ კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად იქმნა ამორჩეული კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი, ხოლო წევრებად შემდეგს კრებაზედ ამოირჩევენ თითო მაზრიდგან თითო კაცს.

კრება შესწყდა ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზედ და გადაიდო დღეს, 23 მარტს, დილის 10 საათისათვის.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ი. ვ. მიცკევიჩი, რომელიც სამსახურის საქმეების გამო პეტერბურგში იყო გაგზავნილი, უკვე დაბრუნდა ტფილისს.

*** ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულო შეუდგა 21 ამა მარტიდგან ქალაქ ტფილისის ამა მიმდინარე 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

*** ამ დღეებში ტფილისის ქალაქ-ს გამგეობაში შეუდგნენ ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებთა საჩივრების განხილვას. ეს საჩივრები უძრავ ქონებათა დაფასების საქმეს შეეხება. როგორც ისმის, ამ გვარი საჩივარი ძალიან ბევრს შეუტანია გამგეობაში.

*** კავკასიის უმაღლეს მთავრობას განსაკუთრებული მოხელენი გაუგზავნია ქუთაისში ადგილობრივ საგუბერნიო დაწესებულებათა სარევიზიოდ.

*** სამკურნალო დეპარტამენტმა დაავალა კავკასიის გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს შეუდგნენ სანიტარო კომისიების შედგენას და ამ კომისიების შემწეობით ქალაქების სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

*** მთავრობის განკარგულებით შავის ზღვის პირის გუბერნიაში მიწის-მზომელთა დასი იქმნა გაგზავნილი. დასმა ადგილები უნდა დაათვალიეროს და ნაჭრებად დაჰყოს შიდა რუსეთიდგან გადმოსახლებულთათვის დასარიგებლად. მიწის-მზომელთა დასი მუშაობას პირველ მაისიდგან შეუდგება.

*** 21 მარტს ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიიღო „სიმენსისა და გალსკეს“ ფირმისაგან ხარჯთ-აღრიცხვა ელექტრონულ განათების გამართვისა ტფილისში. გუშინ, 22 მარტს, კრება უნდა ჰქონოდა ქალაქის გამგეობას და განათების მოსაწყობად არჩეულ კომისიას, რომელზედაც უნდა სხვა-და სხვა ფირმის პირობები გაესინჯათ.

*** ინჟენერს მიხაილოვს ბათუმის ქალაქის გამგეობისთვის წარუდგენია პროექტი ბათუმში ახალის წყლის მილის გამართვისა.

*** როგორც „ტფ. ფურც.“ გაუგონია, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას გარდაუწყვეტია გამართოს გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში სამეურნეო იარაღის და ვენახის წამლის საწყობები.

*** სოფ. გომი, (მეტეხის საზოგადოება). 25—26 თებერვალს ღამით ქურდები ეწვივნენ აქაურის გლეხის გიგა მამულაშვილის დარბაზს, რომლის კარებიც, რადგან პატრონი ბოსელში სცხოვრობდა, კლიტით იყო დაკეტილი. ქურდები კლიტის გატეხვის შემდეგ შესულიყვნენ სახლში, სადაც მათი ყურადღება დაკეტილს სკივრს მიექცია. სკივრი გაეტეხნათ და სულ ამოეცალიერებინათ; სხვათა შორის წაეღოთ აბრეშუმის კაბა, აბრეშუმისავე შალი, ბაღდადი და ვერცხლეულობა. დანაკარგი, პატრონის სიტყვით 50 მანეთს უდრის. იმავე ღამეს სოფელს გარეთ ვენახებში გატყდა ხუთი მარანი, საიდგანაც წაეღოთ, რაც კი ხელში მოხვედროდათ. 26 თებერვალს დილით პატრონებმა საზოგადოების მამასახლისის თანაშემწეს გამოუცხადეს და ქურდების აღმოსაჩენად ზომების მიღება სთხოვეს, მაგრამ მან ყურიც არ გაიბერტყა: „გაჩუმდით, არსად არა სთქვათ რა, თორემ „ზეკუციას“ ჩაგვიყენებენო. ამ ამბავმა ბ-ნ ხიდისთავის ნაწილის ბოქაულის ყურამდე მიაღწია. მიმდინარე თვის პირველს აქ მოვიდა ბოქაული, რომელმაც დაათვალიერა გაქურდული შენობანი და ქურდების აღმოსაჩენად ზომებიც მიიღო, მაგრამ ქურდები ჯერ-ჯერობით იმალებიან. ბ. ბოქაულმა სოფლის უსუფთაო მდგომარეობას და გზების უვარგისობას განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია, რის წყალობით ის აუარებელი ბუჩო-პატივი სოფლის გარედ გაიზიდა, სოფელში წუმპე-ტალახი გამშრალდა და გზებიც შეკეთდა.

*** მიწის-მზომელს ბ-ნს ლიპინსკის, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქალაქ ბათუმის გეგმის შედგენა, უკვე დაუმთავრებია და წარუდგენია გამგეობისათვის ასეთი გეგმა.

*** ქალაქის მე-7 ნაწილის ბოქაულმა ოქმი შეუდგინა ყასბებს არნაუტოვს და ოჯანეზოვს იმ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის გამო, რომელიც სასაკლაოდგან ქალაქში ხორცის გადმოზიდვას შეეხება. ყასბები ხორცის გადმოტანის დროს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ თურმე სისუფთავეს და ჰიგიენის მოთხოვნილებას. მეეტლეები ჭუჭყიანის ტანისამოსითა და ფეხსაცმელით ზედ ასხდებიან თურმე ფურგუნში ჩაწყობილ ხორცს და ასე ჩამოდიან ნავთლუხიდგან ქალაქში. ამას გარდა თვით ფურგუნებსაც არ ინახავენ სუფთად. ცინკი, რომელიც ფურგუნს შიგნითა აქვს გაკრული, ზოგგან აგლეჯილია, სისხლი ეკვრება ფურგუნის კედლებს და სუნი დგება.

*** აწყურსა (თელავის მაზრა), ბოგვსა (ტფილისის მაზრა) და სამტვისსა (გორის მაზრა) სამრევლო-საეკლესიო სკოლები არსებობს. სკოლებთან სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებიც არის. მთავრობამ დაადგინა გადასდოს საერობო გადასახადიდგან ამ სკოლების შესანახად ყოველ წლივ პირველისათვის 1200 მანეთი, დანარჩენ ორისათვის—სამას-სამასი მანეთი.

## პატარა საუბარი

—

„კვალის“ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საქართველოს ხალხს თავისი წარმომადგენელი ჰყოლია და იგი წარმომადგენელი ვიღაც კირვალიძეა თურმე. ვის უკურთხებია ეს ვიღაც კირვალიძე ხალხის წარმომადგენელად,—ეს ჯერ საიდუმლოა თურმე „კვალის“ რედაქციისა და, რასაკვირველია, ოდესმე ამასაც შეგვატყობინებს. მოგვილოცნია საქართველოს ხალხისათვის საერთოდ, რომ ამისთანა მადანი ბედისა გასჩენია. ეხლა ღვთის მადლით საქართველოს ხალხს აღარა უშავსრა, მისს ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფს. მოგვილოცნია „კვალის“ რედაქციისათვისაც საკუთრივ, რომ აქამომდე ეს უცნაური ამბავი საცნაურ ჰქმნა და „კვალის“ № 12-ში საბუთიც წარმოგვიდგინა, რომ ეს ვიღაც კირვალიძე, „კვალის“ სიტყვით, მართლადა ხალხის წარმომადგენელი ყოფილა. ქუდები მოვიხადოთ და ამ საქართველოს ხალხის წარმომადგენელს თავი მუხლ-მოდრეკით დავუკრათ, თორემ „კვალის“ რედაქცია გვემუქრის, თუ ესე არ მოექცით, თქვენ ხალხის უარ-მყოფელნი და მტერნი ყოფილხართო.

ასე უპასუხა „კვალმა“ ბ-ნ ლალს, როცა ამან „კვალელებს“ ერთი უმართებულობა შეჰნიშნა, აწ განსვენებულ გ. წერეთლის დასაფლავებაზე ჩადენილი. როგორ გაგვიბედე და უმართებულება შეგვწამეო, როცა თვით ბ-ნი ხალხის წარმომადგენელი „გლეხი კირვალიძე“ ამ შემთხვევაში ჩვენკენ არისო და დასამტკიცებლად ამისა ხომ კირვალიძის წერილიც „კვალში“ გამოსჭიმეს.

აქაო და კირვალიძემ ჩვენ კვერი დაგვიკრაო, აქედამ ბ-ნ ჟორდანიას ლოღიკისამებრ აი რა დასკვნა გამოიყვანეს: რადგანაც „გლეხი კირვალიძე“ ხალხის წარმომადგენელია და, მაშასადამე, შეუცდომელია ვითარცა პაპი რომისა, ამიტომაც ვინც „გლეხის კირვალიძეს“ მიერ მოწონებულს საქციელს დაჰგმობს, ის ჰგმობს თვით ხალხსაცაო, ბ-ნმა ლალმა ეს საქციელი დაჰგმო, მაშასადამე, ბ-ნი ლალი მგმობელია ხალხისა და ვითარცა მგმობელი-მტერიც არისო. აფერუმ, „კვალო“!

ეგრე იარეთ მცხეთამდე, ჩვენნო ბრძენ-ფილოსოფოსნო, და მცხეთასკი გაგივაკდებათ და მერე დაექანებით. სად გაგითენდებათ, ეს-კი არ

---

— დავიჯერო ეგ მართალია, ჟოზეტტა? მითხარი, მითხარ, ტყუილია ეს ამბავი?

— დიახ, ბარრა ჩემი მეგობარია და არა საყვარელი, საყვარელი მე არავინა მყავს... ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთად-ერთი კაცი მიყვარდა და ის კაციც დიდიხანია გარდაიცვალა...

— მაშ თავისუფალი ხართ, ძვირფასო ჟოზეტტა და შემიძლიან იმედი....

— იმედი? რისა? თქვენ ხომ აქედგან წახვალთ და ძალიან ჩქარაც დამივიწყებთ...

— არა, ჩემო ძვირფასო, არაოდეს არ დაგივიწყებთ! ან დავიჯერო ჩემთვის აუცილებლად საჭიროა აქედგან გაქცევა? მდევართაგან განა საკმარისი არ არის თქვენს სახლში დამალვა?

— საკმარისი რომ იყოს, დარჩებოდით აქა? პირობას მომცემთ, რომ აქ დარჩებით?

— დავრჩები იმ დრომდე, ვიდრე თანახმა იქმნებით ჩემს აქ ყოფნაზედ.

— მაშ სჩანს სამუდამოდ... წაიჩურჩულა ჟოზეტტამ და ამით თავისდა უნებურად, გასთქვა თავისი საიდუმლო. წუთს შემდეგ შეყვარებულნი ნაზად, ალერსით ეხვეწებოდნენ ერთმანეთს.

რამდენსამე ხანს დარჩნენ ისე, გადახვეულნი და თავდავიწყებით მისცემოდნენ სიყვარულს, ბედნიერებით სავსე წუთებს. არა სცდილობდნენ იმის გამორკვევას, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს. მაგრამ წუთს შემდეგ ძალაუნებურად უნდა გამორკვეულიყვნენ ამ მდგომარეობიდგან, რადგან პიერეტტამ რამდენჯერმე ფრთხილად დაუკაკუნა კარები და თან დაატანა: სადილი მზად არისო. ბაღში ჩავიდნენ და სიამოვნებით დაინახეს, რომ საამოთ დაჩრდილულს ტალავარში სუფრა ორის კაცისთვის იყო გაშლილი.

წინდახედულს პიერეტტას მოეაზრებინა, რომ მისი მომხიბლავი ქალბატონი მარტო არ ისადილებდა და სადილად უეჭველად იმ საიდუმლოებით სავსე უცნობსაც მიიპატიჟებდა; მალე მისი ფიქრი გამართლდა, მაგრამ ის იმდენად მორიდებულად მოიქცა, რომ ხმაც კი არ ამოუღია იმათთან ამის შესახებ.

შეყვარებულთა აზრით ეს მშვენიერი დღე მეტად მალე დასრულდა. ტკბილის ოცნებით გატაცებულნი რაღაც გაბრუებულს მდგომარეობაში ჩაცვივნულიყვნენ და ყოველივე თითქოს სიზმარში ელანდებოდათ, მხოლოდ ერთი რამ აწუხებდათ და სტანჯავდათ—ეს იყო საღამოზედ სადარბაზოდ მისვლა ბარრასი, რომელიც დღეს უნდა სწვეოდა ვახშმად ჟოზეტტას. მაგრამ, როგორც სჩანდა, თვით განგება უწყობდა ხელს მათს ბედნიერებას, რადგან ჯერ კიდევ არ დაღამებულიყო, რომ მოვიდა შიკრიკი და მოიტანა ბარრას ბარათი, რომლითაც ის ბოდიშს იხდიდა და ამასთანავე ატყობინებდა, რომ საქმეთა ვითარება არ აძლევდა ნებას პარიჟისთვის ცოტა ხანიც-კი თავი დაენებებინა. ამასთანავე იწერებოდა, რომ ხვალ მოვალო. ამ ამბავმა საშინლად გაახარა შეყვარებულნი, ამით ეძლეოდათ საშუალება მთელის საათობით დამტკბარიყვნენ თავისის განუზომელის ბედნიერებით და უანგარო სიყვარულით. მეორე დღეს, დილით, იმ დაუვიწყარ დღის შემდეგ, ასე ეგონათ, რომ დიდი ხანია, ანუ, უკეთ, ყოველთვის ვიცნობდით და გვიყვარდა ერთმანეთიო.

ასე ატარებდნენ დროს ჟოზეტტა და როლანდი. მთლად მისცემოდნენ ამ ტკბილსა და მათრობელს, დაუშრეტელს ნაკადულს სიყვარულისას. კვირაში ორჯელ მიდიოდა ჟოზეტტა პარიჟში რეპეტიციებზედ და ხან წარმოდგენებზე დასასწრებლად. მისი შინ არ-ყოფნა გასტანდა ხოლმე ერთის დღე-ღამეზედ არა უმეტეს; გზები, სტახტო ქალაქის ახლო-მახლოც-კი, იმ არეულობის დროს არ იყო სრულიად უშიშარი და ამისთვის ჟოზეტტა ღამით სიარულს ვერა ჰბედავდა, მეორე დღეს ჰბრუნდებოდა თითქმის განთიადისას, ყოველთვის დარწმუნებული, რომ აგარაკიდგან ნახევარ გზაზედ დაუხვდებოდა ყმაწვილი კაცი.

ბარრა პირველში მუყაითად დადიოდა ჟოზეტტასთან, კვირაში ორჯელ. მაგრამ რადგან ჟოზეტტას ემძიმებოდა მისი აქ მიღება, სადაც ახლა მისი მიჯნური სცხოვრობდა, სცდილობდა ამოეკვეთინებინა ფეხი და თავისს წადილს მიაღწია კიდეც. იგი აღარც კი ჰლაპარაკობდა მასთან, თითქოს მათი დამოკიდებულება სამუდამოდ გაწყვეტილიყო; მხოლოდ როცა პარიჟში ჩამოვიდოდა, აქ შეუთვლიდა ხოლმე და დიდის გაჭირვებით ითმენდა მისს თავისთან ყოფნას, სულ რამდენისამე წუთითაც-კი, თეატრში ან-და თავისს სახლში შანტერენის ქუჩაზედ. ამ მოკლე ხნის დროს იგი სცდილობდა, ყოვლის ღონისძიებით გაეწყვიტა მასთან მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც ამ ჟამად საკმაოდ შესუსტებულიყო. ბარრაც თავისის მხრივ მოღალული, ხალისდაკარგული ამდენის ხნის ამაოდ უკან დევნით, იმედ-გაცრუებული და წახალისებული სხვა ქალებთან გამარჯვებით სცდილობდა თავისს მხრივ იმასვე, რაც უფრო უადვილებდა ჟოზეტტას თავისს წადილის მიღწევას. როლანდმა გაიგო ყველა ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე თითქმის გათავებული იყო. არ მოუწონა ჟოზეტტას ამ გვარი საქციელი და უმტკიცებდა თავისს მეგობარს, რომ არავითარს შემთხვევაში არ უნდა დაეკარგა ესოდენ ძლიერის კაცის მფარველობა, როგორიც იყო დირექტორიის მმართველი. ხოლო როდესაც ჟოზეტტა განცვიფრდა, ნაზად და ალერსით მიუგო:

— შენს ხვევნა-ალერსშიაც-კი, ჩემო ძვირფასო ჟოზეტტა, არ შემიძლიან დავივიწყო, რომ მე მეფის დასს ვემსახურები. და მხოლოდ ამ დასის ინტერესების დასაცველად, რომელიც ამასთანავე შენთვისაც უნდა იყოს ისევე ძვირფასი და ხელშეუხებელი ჩემდამო სიყვარულის გამო. გთხოვ არ დაჰკარგო ის გავლე-

ვიცით. ან გაგითენდებათ-კი თუნდა პეტერბურგამდინაც იაროთ! არა გონია! ბრმათათვის გათენება ტიბიკონში არა სწერია. ბ-ნ ლალისაგან შენიშნული საგანი ზნისა და მართებულობის თვალით განსასჯელი, განსაკითხავი საგანია. საბუთი და საუბარი ამ წიაღსა შინა უნდა საქმობდეს, იგი ეტიკის საქმეა. აქ „გლეხი კირვალიძე" რა მოწამეა, რა კანონ-მდებელია, რომ იმის მაგიერ, რომ საბუთი წარმოადგინონ, საბუთი ამოცქულონ, სჯა ასაქმონ, ამდგარან და „გლეხის კირვალიძის" კალთას ქვეშ შესჯდომიან და იძახიან: სუ, „გლეხის კირვალიძის წინაშეო". ზნისა და მართებულობის საქმეში, „გლეხი კირვალიძე" რა ავტორიტეტია, რომ რა-კი იგი იმოწმეთ, გგონიათ, რომ ბ-ნს ლალს სიტყვა მოუჭერით, ხიდები ჩაუქციეთ და გამარჯვების ნიშნად ყურთმაჯები მხრებზე გადაიგდეთ და ქუდიც ვაჟკაცურად ჩაიტეხეთ. უკეთესი ეტიკოსი, უკეთესი ავტორიტეტი ველარსად იპოვნეთ. მეტი სასაცილოდ აგდება-ღა იქნება ქვეყნისა ცალკე, მკითხველისა ცალკე, რომ კირვალიძე ზნისა და მართებულობის კანონ-მდებლად და ავტორიტეტად გაგვიხადეს! მეტი უარარაობა ღა შესაძლებელია, რომ კაცი კირვალიძის ავტორიტეტობას არამც თუ მარტო თვითონ დასჯერდეს, სხვასაც აჯერებდეს და ვინც არ იჯერებს, ქვეყნის მტრად ისახებოდეს! გაგონილა სადმე ამისთანა სასაცილო ამბავი!

ბ-ნმა ჟორდანიამ მთელი გერმანია მოიარა და ისევ აქ მოვიდა, რომ კურსი კირვალიძეს უნივერსიტეტში შეესრულებინა და აქ ესწავლა ზნე და მართებულობა! ნუ თუ გერმანიაში—იმ მეცნიერთა და ფილოსოფოსთა ქვეყანაში—უკეთესი პროფესორი ვერ იშოვა, რომ მოვიდა და აქ, ჩვენში კირვალიძეს მიებარა ზნისა და მართებულობის სასწავლებლად. მაშ რის მაქნისია, რომ ბ-ნ ლალის წინააღმდეგ მოწმად მოჰყავთ ვიღაც კირვალიძე, თუ იგი რაღაც უძლეველ ავტორიტეტად არ მიუჩნევიათ.

რომ უფრო დიდ ავტორიტეტად დაანახვონ ქვეყანას ეს ვიღაც „ხალხის წარმომადგენელი გლეხი კირვალიძე", ჩვენი ჰკუიანი „კვალი" მე-12 №-ში გვეფიცება, რომ კირვალიძეს ას ერთი კაცი ამაზე ხელს უწერსო. ამისთანა საქმეში, სადაც ლიტერატურული სჯაა და ბაასი, იქ ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს. გვნებავთ, საქართველოში თუნდ ათი ათასს კაცს ხელს მოვაწერინებ, რომ დედა-მიწა ხარის რქაზედა სდგას და ნუ თუ ეს მცირეოდენ მცოდნე კაცისათვის საბუთია! ნუ თუ ამ ათი ათას კაცის ხმა უფრო მეტს იწონს, ვიდრე ერთი ხმა გალლილეისა! თუ კაცი თვითონ ნულია,—გლეხია, თუ თავადი,—ათასი ამისთანა ნულები რომ ხელიხელ ჩართულად გაგვიმწკრიოთ, მაინც ნულია და ნული. ეს ხომ პირველ კლასსის გიმნაზიელმაც-კი იცის და რატომ ბ-ნ ჟორდანიას არა სცოდნია. ლიტერატორობს და ამასთან მარქსისტობს კიდეც და ჰლამის ვიღაც კირვალიძის ჭკუასა და ცოდნას ყურ-მოჭრილ ყმად გაუხდეს. კარგი კოლოფი ჭკუისა და ბოლაზი ცოდნისა უპოვია. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს.

ამას იქით ნუ გაგიკვირდებათ, რომ ბ-ნმა ჟორდანიამ ხელ-წერილი ჩამოატაროს კირვალიძეებსა და მერკვილაძეებში ბრძნობაზე ხელი მომიწერეთ, თორემ ლამის „ივერიამ" უვიცობის სახელი დამიგდოსო. ამას იქით ნურც ის გაგიკვირდებათ, რომ ამისთანა ხელ-წერილი „კვალში" დაჰბეჭდოს და როგორც კირვალიძეს დაუჩემებია ამისთანა საბუთით ხალხის წარმომადგენლობა, ისეც ბ-ნმა ჟორდანიამ ბრძნობა დაიჩემოს.

მოდით და ნუ იტყვით: ვაი ჩვენის მწერლობის ბრალი-თქო.

ახალ-მოსული

## წერილი კახეთიდან

(თელავის მაზრა).

წარსული წლის ბოლო ხანებში ტფილისის გუბერნატორმა დაუგზავნა მაზრის უფროსებს და ამათ თავიანთ მხრივ ბოქაულებს დაურიგეს მიწერილობა, რომლის ძალით ყოველ ბოქაულს უნდა წარედგინა ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გაჭირვება ადგა ხალხს მათს საბოქაულოებში და რა შველა საჭირო, რომ ყოველ ხალხის გაჭირვებას წამალი დაედოს და სხ. ამ ქაღალდს, სხვათა შორის, ის აზრიც ჰქონდა, რომ სოფლის ხალხის გაჭირვება და ამ გაჭირვების შველის სახსარი პირდაპირ, უკრძალველად გამოთქმულიყო, თუნდაც ყოველივე ეს ძნელი შესასრულებელიც ყოფილიყო..

ამ ხანად ავიღოთ მაგალითად სახელმწიფო ტყეებით სარგებლობა სოფლებში. ესეც ერთი გაჭირვებათაგანია გლეხ-კაცობისა, რომელსაც მთავრობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და, ანდაზის მიხედვით: ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი უნდაო, ადგილობრივ გარემოებათა შესაფერი წესები შეიმუშაოს. ამ წესებმა უნდა გაუადვილოს გლეხს სახელმწიფო ტყით სარგებლობა და ყოველი საჭირო მასალა თავ-თავისს დროზედ მისცენ. თორემ ეხლა სოფლის მცხოვრებთ ისე მოსდით, როგორც მოლას, რომელსაც სიკვდილის შემდეგ ფლავს თავზედ აყრიდნენ. დღეს უკვე მარტის ნახევარია და გლეხ-კაცობას-კი ერთი ღერი ჭიგო არა აქვს მოჭრილი სახელმწიფო ტყეებში. ამის შემდეგ თუნდა მოაჭრევინონ, თუნდ არა. ჭიგოს მოჭრის დრო და ამინდი დეკემბერი და იანვარია, მერე ხალხს მისთვის აღარა სცალიან.

როგორც მახსოვს, ამ რამდენისამე წლის წინად, როდესაც სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ბრძანდებოდა ჩვენს ქვეყანაში, შეიტყო რა ადგილობრივ ხალხის გაჭირვება, განკარგულება მოახდინა, რომელშიაც რამდენიმე საშეღავათო მუხლი იყო აღნიშნული სახელმწიფო ტყით და საძოვრით სარგებლობის შესახებ გლეხ-კაცთაგან. ეს განკარგულება „ივერია"-შიაც იყო დაბეჭდილი. გაზეთის ნომერი არ მახსოვს; მახსოვს მარტო, რომ იქ, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: თუ რომ ტყის დარაჯმა ტყეშივე არ მოასწრო ხის მოჭრაში გლეხს, შინ მიტანილზედ ხმის გაცემა აღარ შეუძლიანო; გლეხს ნება ეძლევა ატაროს საქონელი სახელმწიფო ტყეში უსასყიდლოდ ერთის ვერსის მანძილზედ საზოგადოების სახმარებელ ადგილებიდამაო და სხ. თქვენც არ მომიკვდეთ, რომ ამ საშეღავათო მუხლებს ცალი თვალითაც არ გადაუხედნია სოფლისაკენ!..

ამას ვინ იჩივლებდა, თუ რომ სოფელში უარესობას არა ვხედავდეთ! აი რამდენიმე მაგალითიც: ვთქვათ, თქვენს მამა-პაპას, ან თითონ თქვენ საზოგადო სახმარებელ რიყე-ადგილზე წისქვილი აგიშენებიათ. რუსხმულის ნაპირებზედ დაგირიგებიათ წნორი იმ აზრით, რომ წისქვილის რუც დაგეფარათ წყალდიდობისაგან და წნორის ტოტებითაც გესარგებლათ ხანდახან. თუმცა წისქვილის იჯარას ცალკე იხდით ახლა, მაინც გამოდის, რომ თქვენს ნაშრომს და დარგულ წნორით სარგებლობის უფლებასაც გისპობენ. მე ჩემის თვალით ვნახე, რომ ერთს გლეხს თავისის საკუთარის წისქვილის რუზე დაკაფულ წნორის ტოტებით დატვირთული ურემი დაუტუსაღა ტყის მცველმა და თან დაასხმინა: მე ბრძანება მაქვს, ვენახებში ფურცლებიც არ დაგაკაფვინოთო!

ვთქვათ, თქვენს მამა-პაპას სახნავი ადგილი ჰქონია, რომლის გარეშემო ტყეც ყოფილა. იმ დროს მამულის პატრონი ტყეს მამულის პირებზე გაზრდის ნებას არ აძლევდა, რადგან ჩრდილი მოსავლისათვის ძალიან მავნებელია, და არც არავინ იყო მისი დამშლელი. ახლა, როცა ტყის პატრონობა შეიცვალა, მამულის სანაპიროს აღარავინ ასუფთავებს, ტყე სწრაფად იზრდება და ის მამული სახნავად აღარ ვარგობს, მოსავალი აღარ მოჰყავს იმ სანაპიროებში მაინც, სადაც ტყის ჩრდილი სწვდება. გარდა ამისა, ტყეს სახნავი ყოველ მხრივ დაუხურავს, მზის სხივებს და ჰაერის თავისუფლად მოძრაობას ჰზღუდავს, რასაც დიდი გავლენა აქვს მოსავლის ავ-კარგიანობაზედ. იყო მაგალითი: საზოგადოებამ ერთს საწყალ კაცს ერთი ნახევარი ვენახი განაჩენით გადასცა. ვენახის ნაპირებზედ სახელმწიფო ტყე იყო. დიდი ხნის უპატრონობის გამო ტყე ვენახში შეიჭრა. მივიდა ეს კაცი, ვენახი ტყისაგან განათავისუფლა, ნაღობარზე ტყე გაკაფა. მივიდა ტყის მცველი და ოქმი შეუდგინა, რომლის ძალით ახლა 80 მ. ახდევინებენ მშიერ-ტიტველ კაცს და, ვინ იცის, ციხეშიაც ჩასვან! და ამგვარი სახნაურები და ვენახები ხომ მრავალია ჩვენს სოფლებში.

ფშაველიშვილი

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

საქმის ვითარება ბრძოლის ველზედ უფრო და უფრო გამოურკვეველი ხდება. უკანასკნელი დეპეშები ბურების გამარჯვების ამბავს გადმოგვცემენ, მაგრამ გაუგებარია, როგორ გაიმარჯვეს ბურებმა ზედ ბლუმფონტენთან, როდესაც იქ რობერტსის მთავარი ჯარი სდგას. აშკარაა, ინგლისელების საქმე კარგად ვერ მიდის. აშკარაა აგრეთვე ისიც, რომ გენერალ ფრენჩს, რომელსაც ოლივიესთვის გზა უნდა გადაეღობნა და იმისი რაზმი დაემარცხებინა, მინდობილი საქმე ვერ განუხორციელებია და დამარცხებული დაბრუნებულა ბლუმფონტენში, როგორც ამას წინად სათუოდ ამბობდნენ გაზეთები. ბურების ამ უკანასკნელ გამარჯვებამდე ინგლისელებსა და ბურებს ხშირად ჰქონდათ წვრილ-წვრილი შეტაკებანი და ამ შეტაკებებში თითქმის ყოველთვის ბურები იმარჯვებდნენ. ამ დღეებში ლედიბრანდთან დაამარცხეს ბურებმა ინგლისის რაზმი, რომელიც ჯერ მასერუსკენ გაიქცა, შემდეგ ბლუმფონტენში შევიდა. მეფკინგს ბურებმა უფრო მჭიდროდ შემოარტყეს ალყა და უფრო მოუხშირეს ყუმბარების სროლას. ბევრგან სხვაგანაც გაიმარჯვეს ბურებმა და ყველა ეს იმასა ჰმოწმობს, რომ ბურებს ბედმა ხელ ახლა გაუღიმა.

— ვერც-კი მოასწრო ლორდმა კიტჩინერმა გრიკვალანდიდგან გასვლა, სადაც იგი ამბოხების ჩასაქრობად იყო გაგზავნილი, რომ იქ ამბოხებამ ხელ-ახლა იჩინა თურმე თავი. უკანასკნელ ცნობებით, 400 ბური ხელ-ახლა აუდიათ გრიკვალანდი და მცირე ჯარი, იქ დატოვებული, გაურეკიათ. ასევე მოხდა კიმბერლეიშიაც. ყველა დეპეშები იუწყებოდნენ, რომ კიმბერლეის გარეშემო აღარც ერთი ბური აღარ მოიპოვებაო, მაგრამ ეხლა აღმოჩნდა, რომ ბურების მთელი რაზმი ყოფილა დაბანაკებული ამ ქალაქის მახლობლად.

— გაიმარჯვებენ თუ არა ბურები, ამას მომავალი დაგვანახვებს, მაგრამ ინგლისელებმა, რომ დიდი გაჭირვება გამოსცადეს ამ ომის დროს, ეს-კი, აშკარაა. აი, სხვათა შორის, რასა სწერს ერთი დაჭრილი ინგლისელი ჯარის-კაცი: „იაკობსდალთან მომხდარ ბრძოლის შემდეგ საშინელ გაჭირვებაში ჩავცვივდით, რადგან ბურებმა სურსათით დატვირთული ორასი ფურგონი წაგვართვეს. საჭმელი აღარ მოგვეპოვებოდა. სამ კაცს თითო გირვანქა პური და თითო სუხარი გვქონდა, ისიც სამს დღეში ერთხელ. ეს კიდევ არაფერი, რომ დასალევი წყალი გვქონოდა. ერთად-ერთი პატარა ხევი ცხენების ლეშებით იყო ამოვსებული, ასე რომ წყალს საოცარი სუნი ასდიოდა. ტომრებს ქვიშით ვავსებდით, შიგ წყალს ვასხამდით და ისე ვწურავდით, მაგრამ სუნს მაინც ვერ ვაშორებდით. ერთი კვირაც რომ დავრჩენილიყავით ამ ადგილზედ, უეჭველად ყველანი ამოვწყდებოდით". ამ ჯარის-კაცის სიტყვით, ერთხელ მთელი რაზმი გამხდარა ავად ცუდი წყლის სმით.

— რობერტსსა და უაიტს დეპეშები გაუგზავნიათ განსვენებულ ჟუბერის მეუღლისთვის და სამძიმარი გამოუცხადებიათ. უაიტს ამას გარდა სიტყვა წარმოუთქვამს კაპშტადტში და დიდად შეუქია ჟუბერის მამაცობა და გაჟკაცობა. ყველა ინგლისურ გაზეთში ჟუბერის ნეკროლოგია დაბეჭდილი. გაზეთები ერთ ხმად ამტკიცებენ, ომი არ მოხდებოდა, რომ 1898 წელს კრიუგერის ნაცვლად ტრანსვაალის პრეზიდენტად ჟუბერი აერჩიათ, რადგანაც იგი წინააღმდეგი არ იყო ცვლილებათა შემოღების და უიტლენდერებისათვის უფლებათა მინიჭებისაო.

— კრიუგერის მახლობელ ნათესავს და ტრანსვაალის ცნობილ საპოლიტიკო მოღვაწეს უთქვამს ერთის ინგლისურის გაზეთის კორესპონდენტისათვის, რომ ინგლისელნი ვერასოდეს ვერ დაიმორჩილებენ ბურებსაო. ბურები დაანგრევენ ხიდებს, რკინის გზებს, გაამაგრებენ გასავლებს და ამ რიგად ინგლისის ჯარს ყოველ ნაბიჯზედ თავ-ბედს აწყევლინებენ. თუ პრეტორია აიღეს ინგლისელებმა, ბურები ჩრდილოეთისკენ წავლენ, სადაც „უპირველო კავშირის დაჭერაც-კი შეუძლებელიაო".

— როგორც ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, ომის დაწყებიდგან დღემდე, ინგლისის მთავრობას ინდოეთიდგან სამხრეთ-აფრიკაში გაუგზავნია სულ 8,000 ჯარის-კაცი და აფიცერი, ამას გარდა 6,700 ცხენი და 1,600 ჯორი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საოცარი გულ-მავიწყნი ყოფილან თურმე ნიუ-იორკელნი. ნიუ-იორკში არსებობს განსაკუთრებული კანტორა, სადაც თავს უყრიან ყველა დაკარგულ ნივთებს. ამ კანტორის აგენტები ყოველ დღე ათვალიერებენ ვაგონებს და რასაც აქ იპოვნიან, კანტორაში მიაქვთ შესანახათ. ერთის კვირის განმავლობაში ამ კანტორაში აუარებელ ნივთებს მოუყრიან ხოლმე თავს. ყველაზედ ბევრი კი უფრო წიგნებია: რომანები, ლექსები, ლოცვანები და სხვანი. ამას წინად ერთს აგენტს ვაგონში, სხვათა-შორის, ორის თვის ბავშვი უპოვნია. ეს ბავშვი თურმე თვრამეტის წლის დედას დარჩენოდა. შემდეგ დედა კანტორაში მისულა და მოუთხოვნია თავისი ბავშვი: „სულ გადამავიწყდა, რომ ბავშვი მყვანდა,—უთქვამს გულ-მავიწყს დედას,—არც საკვირველია, ცოტა ხანია, რაც გამიჩნდა და ჯერ არ შევჩვეულვარ დედობასაო".

* * *

ვაშინგტონელ პროფესორს მაკდონალდს საინტერესო ცნობები შეუკრებია ბავშვების შიშიანობის შესახებ. ამისთვის პროფესორს მასწავლებლების, დედ-მამისა და თვით ბავ-

---

ნა, რომელიც გაქვს ბარრაზედ.

ჟოზეტტა დაჰპირდა აესრულებინა მისი თხოვნა და ამით ერთხელ კიდევ დაემტკიცებინა მისთვის თავისი სიყვარული. მისის თავ-დავიწყებულ სიყვარულისთვის იგი მზად იყო შეეწირა მსხვერპლად თავის სიცოცხლეც-კი.

მთელს ორს თვეს გასტანა მათმა სიყვარულმა და ყოველს დღეს, ყოველს კვირას, სულ ახალსა და ერთიერთმანეთზედ დამატკბობელს გრძნობებს გამოაცდევინებდა იგი. ჟოზეტტა მზად იყო როლანდის ყოველი სურვილი ხმა-ამოუღებლივ აღესრულებინა, მზად იყო გაჰყოლოდა ყველგან, სადაც კი მოისურვებდა იგი. ჰგრძნობდა, რომ სამუდამოდ მას ეკუთვნოდა, მასთან შედუღებულიყო და რომ როლანდსაც ისევე თავდავიწყებით უყვარდა იგი. ჟოზეტტა იმდენად ენდობოდა მისს პატიოსნებას, რომ ის აზრი, შეიძლება თავი დამანებოსო, ერთხელაც არ მოსვლია. მაგრამ ამასთანავე ყოველს წუთს თრთოდა და დაჰკანკალებდა თავისს სატრფოს სიცოცხლეს, თავისუფლებას. მას კარგად ესმოდა ის საშინელი განსაცდელი, რომელიც ყოველს ნაბიჯზედ თან სდევდა აჩრდილსავით როლანდს.

დირექტორია, რაკი ერთხელ თავი უზრუნველ ჰყო მტრებისაგან, ისეთის სისასტიკითა და შეუბრალებლობით აღარ ეპყრობოდა დამნაშავეთ, როგორც 18 ფრუქტიდორის მეორე დღეს; მაგრამ ამისდა მიუხედავად მეფის მომხრე აზნაური ბოლლიევრი მაინც კანონის მფარველობას მოკლებულ იყო და ეს როლანდის ჯერ კიდევ თავიდგან აუცდენელი განსაცდელი დიდად ალონებდა და აწუხებდა საბრალო ქალს. იგი ხშირად უსაყვედურებდა თავისს თავს, რომ თავისის გარდამეტებულის ეგოიზმის გამო არ გაუშვა როლანდი საფრანგეთიდგან, მაშინ როდესაც უეჭველად უნდა სცდილიყო როლანდის საზღვარ-გარეთ გასვლას. ამ დროს იგი დაუწყებდა ხოლმე როლანდს ხვეწნა-მუდარს წასულიყო საზღვარ-გარედ და ჰპირდებოდა თითონაც გაჰყოლოდა ყველგან, სადაც კი ის მოისურვებდა. მაგრამ როლანდი მუდამ უარზედ იდგა და თავისს გასამართლებლად იმას ამბობდა, რომ მეფისაგან ჩაბარებულს ადგილს ვერ დავსტოვებო.

(შემდეგი იქნება)

შვებისათვის მიუმართავს და გაუგზავნია მათთვის განსაკუთრებული ფურცლები, რომლებსაც სხვა-და-სხვა კითხვაზედ პასუხები უნდა ჩაეწერათ. ამ პასუხებიდგან აღმოჩნდა, რომ ბავშვებს ყველაზედ მეტად ჰშინებიათ ქექა-ქუხილისა, შემდეგ ქვეწარმავლებისა (გველებისა, ხვლიკებისა და სხვათა), უცნობ კაცებისა, სიბნელისა, ცეცხლისა, სიკვდილისა, შინაურ საქონლისა, ნადირისა, ძაღლისა, მწერებისა და სხვათა. სტატისტიკამ აღმოაჩინა, რომ ქალებს უფრო ჰშინებიათ, ვიდრე ვაჟებს. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ვაჟებს შიში შვიდიდგან თხუთმეტ წლამდე უძლიერდებათ, ხოლო ქალებს-კი ოთხიდგან ჩვიდმეტამდე. ხშირად ბავშვებს მოჩვენებისაც ეშინიანთ. ამ შემთხვევაში ცუდ სამსახურს უწევენ ბავშვებს ისინი, ვინც სხვა და სხვა მოჩვენებების შესახებ აცნობებენ ან ასეთის შინაარსის წიგნებს აძლევენ ხოლმე წასაკითხად.

* * *

როგორც „Русск. Вѣстн."-ი გადმოგვცემს, ამას წინად რიგაში ერთ მომრიგებელ მოსამართლეს მეტად საყურადღებო საქმე განუხილავს. ბრალდებულთა სკამზედ იჯდა თურმე ვინმე დარია ზივარიჟნევისა, 50 წლის ქალი. ამ ქალის ხელობა ის იყო, რომ მცირე წლოვან ვაჟებს ქურდობას ასწავლიდა, ხოლო ქალებს—გარყვნილებას. ზივარიჟნევისა შეიტყუილებდა ხოლმე ქალებს და სახლიდგან აღარ უშვებდა, ვიდრე „არ გაწვრთნიდა", როგორც თვითონ ამბობდა თურმე. „გაწვრთნილი" ბავშვები „სამუშაოდ" ბალებსა, ცირკებსა და საზოგადოდ იმ ადგილებში დაჰყავდა. სადაც ხალხი იკრიბება ხოლმე. ყველა ეს მოწმეებმა სასამართლოში დაამტკიცეს. მომრიგებელმა მოსამართლემ დამნაშავეს მხოლოდ ერთის თვით პოლიციასთან დაპატიმრება გადაუწყვიტა.

* * *

როგორც „Пет. Лист."-ი იუწყება, ერთ პეტერბურგელ ქიმიკოსს ი. ა. სტანიცკის აღმოუჩენია ახალი საშვალება შუშის (стекло) მომზადებისა. ამ რიგად მომზადებული შუშა კაცს ადვილად შეუძლიან მოხაროს, მოკაკვოს, მერე ისევ გაშალოს: შუშა არა ტყდება თურმე. სტანიცკის თავისი გამოგონება ერთს სამრეწველო ფირმისთვის მიუყიდნია, რომელიც უკვე შესდგომია ქარხნის გამართვას.

* * *

ამ ორის თვის წინად ტუგელზედ, სამხრეთ-აფრიკაში, მოუკლავთ ავსტრიელი გრაფი ცეპპელინი. ეს გრაფი სამხრეთ აფრიკაში ბურების მისაშველებლად იყო წასული. გრაფის მოკვლის ამბავი იმის დანიშნულს იულია ფონ-ლაუზერს ამას წინად შეუტყვია. ამ ამბავს ისე ძლიერ უმოქმედნია ახალგაზრდა ქალზედ, რომ საწყალი ჭკუისაგან შემცდარა. ამ ჟამად ფონ-ლაუზერი სულით ავადმყოფთა საავადმყოფოშია თურმე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 მარტი

**ბაქო.** 19 მარტს ბიბი-ეიბათში, ზუბალოვის სარეწავში, დაიწვა ნავთის საწყობი და 9 ნავთის ამოსაღები ადგილი, ხოლო როტშილდის სარეწავში—ერთი. ზარალი დიდია.

**სიმონსტოუნი.** ტყვე ბურთა შორის სიკვდილი ხშირდება. მოხელეები სცდილობენ ავადმყოფობას წინააღმდეგობა გაუწიონ. სიმონსტოუნსა და გრინნოიტში ავადმყოფთა რიცხვია: 20 საშიშად არის ავად, 40—მძიმედ, 60—სახადი და წითელა სჭირს და ეს სენი ჩვეულებრივად მიმდინარეობს.

**ბურთა ბანაკი სმალდილში.** ბრანდფორტსა და ბლუმფონტენს შუა სასტიკი ბრძოლა მოხდა. ერმელოსა და ბაკერსტრომის რაზმები თავს დაესხნენ 7,000 ჯარის-კაცს ინგლისისას, უკან დასწიეს და დიდი ვნებაც მიაყენეს. აქ მოსული დაჭრილნი ამბობენ, რომ საერთო ბრძოლა იყოო. ინგლისელებმა რამდენჯერმე შემოგვიტიეს, მაგრამ ვერას გახდნენ-რა. ბურებმა ბრძოლის დროს რამდენჯერმე წინ წაიწიეს, მაგრამ საბოლოო შედეგი ბრძოლისა ჯერ არ არის ცნობილი. ბურთა შორის ცხრა კაცია მოკლული და დაჭრილი. შემდეგ ბრანდფორტიდგან ამბავი მოვიდა, რომ ორი ათასი ბური თავს დაესხა სამი ათასს ინგლისელს; ამ დროს ინგლისელთ მთელი რაზმი მიეშველა, რომელიც 13,000 ჯარის-კაცისაგან შესდგებოდა. ბურები იძულებულ იყვნენ უკან დაეწიათ. ზარალი მაგდენი არა მოსვლიათ-რა.

**ლონდონი.** სალამოს გაზეთებში დეპეშაა დაბეჭდილი, რომელიც ბლუმფონტენიდგან მოსულა 19 მარტს და იუწყება, რომ ინგლისის მე-19 რაზმი საჩქაროდ ჰმოძრაობდა, მივიდა ჩასასაფრებელ ადგილამდე და იძულებულ ჰყო მტერი ეომნა. ბურებმა საჩქაროდ დაიწიეს უკან. ბურების ძლიერს რაზმს, რომელიც ლედი-ბრანდტიდგან მიდიოდა წყლის მილისაკენ, ფრენჩის ცხენოსან ჯარის წყალობით, თითქმის ერთი მეათედი თავისის რიცხვისა მოაკლდა. ბლუმფონტენში ეჭვი არა აქვთ, რომ წართმეული ზარბაზნები დ სურსათი ისევე უკან იქმნება დაბრუნებულიო.

**ბუშმანსკოპი.** წყლის მილი ისევე ბურების ხელშია. ინგლისის არტილერია გუშინ ზარბაზნებს ესროდა იმათს სიმაგრეს. როდესაც მტერი ზარბაზნების სროლითვე გამოეხმაურა, შროპშირის რაზმი წავიდა წინ ინგლისის არტილერიის დასაცავად და არტილერიაც ამის შემდეგ გროსიდგან დაიძრა. ხმა დადის, რომ პატარ პატარა რაზმები ბურებისა სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ მოდიანო.

**გააგა.** მეორე პალატა. ზოგიერთი დეპუტატები წინააღმდეგნი გაუხდნენ ვიგენსის იმ წინადადებისა, რომ გადადებულ იქმნას განხილვა კანონ-პროექტისა, რომლითაც მტკიცდება ხელშეკრულება საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს შესახებ. „კონვენცია, განაცხადეს იმათ: მავნებელია სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებისათვის და საზოგადოდ არავითარს სარგებლობას არ მოიტანსო". დეპუტატმა ვიგენსმა სთქვა, რომ ჩემს წინადადებას აზრად ჰქონდა იძულებულ მეყო მთავრობა განემარტა ჩვენთვის, რა მოლაპარაკება უძღოდა წინ სამშვიდობო კონფერენციასაო. გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ სახელმწიფო მოსაზრებანი ნებას არ გვაძლევს ამ ჟამად ეგ გარემოება განვმარტოთ არა თუ პალატისა, არამედ კომისიის წინაშეც კიო. ვიგენსმა თავისი წინადადება უკანვე დაიბრუნა. კონვენციის განხილვა ჯერ არ დაბოლოვებულა.

22 მარტი

**პარიჟი.** გარდაიცვალა მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი მდივანი, საფრანგეთის აკადემიის წევრი ჟოზეფ ბერტრანი.

იმ საუზმეზედ, რომელიც გაუმართეს ლაფერიერს ვაჭრებმა, ალჟირის გუბერნატორმა სიტყვა წარმოსთქვა ალჟირის გარეშე პოლიტიკის შესახებ და დასძინა: „ეს პოლიტიკა ყოველთ უწინარეს კეთილ-სინიდისიერებისა და ხელ-შეკრულებათა პატივისცემის პოლიტიკაა. ხელ-შეკრულებათ, რომელიც შეეხება ალჟირის დასავლეთს, ჩვენ ყოველთვის ვიცავდით და დავიცავთ კიდეც, მაგრამ ამასთანავე გვეხსომება, რომ კორდი ტუატი ჩვენი საკუთრებაა. ჩვენს სამფლობელოთ გვედავებოდნენ არა-უწყებულნი მთავრობანი; ჩვენს ალჟირს იქითა მყოფს მიწა-ადგილებს, ჩვენს სუდანისაკენ მიმავალს გზას მუქარას უთვლიან. დაუყოვნებლად უნდა ვიმოქმედოთ და ჩვენი რაზმი იგლში უნდა შევიდეს.

**კაპშტადტი.** ლედი-რობერტსი მოვიდა აქა.

**მოსკოვი.** დღევანდელს კრებაზედ საბჭომ ერთ-ხმად ოც-და-ხუთი ათასი მანეთი გადასდო ქალაქის შესამკობად.

**პარიჟი.** სენატში დელკასსემ, სხვათა შორის, გაიხსენა სავაჭრო ხელშეკრულება, შეერთებულ შტატებთან დადებული, და ის მოლაპარაკება, რომელიც ჩინეთის კონცესიას შეეხება, და მინისტრმა სთქვა, რომ მშვენიერი ნაყოფი გამოიღო ყოველმავე ამანაო. საფრანგეთი კვლავ ახალშენების მქონე სახელმწიფოდ შეიქმნა და უნდა ეცადოს ახალ ახალშენთა სიმდიდრის განვითარებასო. საფრანგეთს ბრძოლა სჭირია, რომ მამაც თაობად ალიზარდოს. საჭიროა განვითარებულ იქმნას ეკონომიური წეს-წყობილება საფრანგეთისა და ის, რომ ფლოტს ჯეროვანი ძლიერება მიეცეს.

**ლონდონი.** წყალის მილის საქმეში, ბლუმფონტენს ახლო, ინგლისის ჯარის აფიცერთაგანი მოკლულია სამი, დაჭრილია 14 და სამიც უცნობოდ არის დაკარგული.

**პეკინი.** ცზუნგ ლი-იამენის წევრნი კოეი-ხუნი და იუეან ჩანგი დანიშნულ იქმნენ ელჩებად, პირველი ლონდონში, მეორე—პეტერბურგში.

**ნიუ-იორკი.** „New Iork-Journal"-ს აუწყებენ, რომ კაპიტანი რეიხმანი, რომელიც კრონსპრუიტოსთან ჩაუსაფრდა ინგლისელებს—კარლ რეიხმანია, შეერთებულ შტატების ჯარის კაპიტანი, რომელიც ბურების ჯარში სამხედრო აგენტად იმყოფებაო, იმავე გაზეთს აუწყებენ ვაშინგტონიდგან, რომ აქაურს სამხედრო სამინისტროში ეს ამბავი შესაძლებლად არ მიაჩნიათ, თუმცა ამ ბოლოს დროს რეიხმანისაგან სამინისტროში არავითარი ცნობა არ მიუღიათო.

**ვენა.** სოფიიდგან იუწყებიან, რომ მთავარი უკვე წავიდა ბოლგარიიდგანაო. ხმა დადის, რომ ვენაში მიდისო.

**გააგა.** მეორე პალატა. გაავას სამშვიდობიანო კონფერენციის პირველმა ჰოლანდიის დეპუტატმა ვანკარნბეეკმა განაცხადა, რომ არც ერთს დიდს სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას, არ უფიქრია, ვითომ ამ ხელის-მოწერას ინგლისის ტრანსვაალზედ უზენაესის უფლების აღიარების მნიშვნელობა ექმნებაო. გარეშე საქმეთა მინისტრი მხნედ იცავდა საერთა-შორისო სამედიატორო სასამართლოს შესახებ დადგენილს კონვენციას, რადგან ამ კონვენციის დადგენა ერთის ნაბიჯის წინ გადადგმაა საერთო პროგრესის გზაზედაო. შემდეგ კონვენცია შეწყნარებულ იქმნა 65 ხმით 20 ხმის წინააღმდეგ.

**პარიჟი.** პალატა. შაპიუი თხოულობს, რომ გამოფენის დაწყება გადავდოთ, რადგან მუშაობა ჯერ არ არის დამთავრებულიო. მილიერანმა უპასუხა, რომ არასოდეს არა ყოფილა გამოფენა ასე მზად და რომ იგი უეჭველად დანიშნულს დღეს დაიწყებაო. პალატამ შაპიუის წინადადება უარ ჰყო 357 ხმით 58 წინააღმდეგ.

***

პეტერბურგის ბირჟა, 21 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 216 |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 91 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 97½ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | 91 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 97¼ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 91 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 297½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 258 |

## წერილი რედაქციის მიმართ

ქ-ნმა პელაგია მაქსიმეს ასულმა ზენაიშვილმა-ცერცვაძისამ შეგვიკრიბა მიქელ-გაბრიელის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ 10 მ. 75 კ. უგულითადესს მადლობასა ვწირავ როგორც შემომწირველთ, აგრეთვე თვით ქ-ნს პელაგია მაქსიმეს ასულს.

სია შემომწირველთა: თითო მანათი შემოსწირეს: ქ-ნმა პელაგია მაქსიმეს ასულმა ზენაიშვილმა-ცერცვაძისამ, დავით ალ. მახარაძემ, ალმასხან სიმ. ბებიაშვილმა, ვანო სიმ. ბებიაშვილმა, დავით შაქ. ზირაქაძემ, ვარდენ სიმ. ბოგვერაძემ და კონსტანტინე დათიაშვილმა; ათ-ათი შაური: ქიშვარდი ოქრ. ხუნდაძემ, იპოლიტე ლევ. ცერცვაძემ, ირაკლი კამლაძემ, ტარასი ცერცვაძემ, მიხეილ ტყეშელაშვილმა, ილია გაბრიჭიძემ და ი. ყვირილელმა; გიორგი ცერცვაძემ 25 კ.

ვ. მ. ჩხაიძე


## განცხადებანი




(50—267—17)

# ტფილისის საკომერციო სასწავლებლისაგან.

მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ კლასის უფროსს განყოფილებაში (ამ განყოფილებაში მიიღებიან 9—11 წლისანი) და პირველ კლასში (10—12 წლისანი) დანიშნულია ამა წლის 25 და 28 აპრილისათვის; მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები რვა წლიდგან დაწყებული უეგზამენოდ.

სწავლის ფასი წელიწადში: მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში—80 მან.; უფროს განყოფილებაში—100; პირველ კლასში—120 მან.

სწავლა ამ წლის **სექტემბრიდგან** დაიწყება.

სწავლა დამთავრებულთ შემდეგი უფლებანი ენიჭებათ: 1, სამხედრო ბეგარის გადახდის დროს სარგებლობენ პირველის ხარისხის შეღავათით; 2, უმაღლეს სასწავლებელში და სახელმწიფო სამსახურში შესვლის დროს ისეთივე უფლება ეძლევათ, როგორც რეალურ სასწავლებელში სწავლადამთავრებულთა აქვთ; 3, საკომერციო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ ეძლევათ პირად საპატიო მოქალაქის წოდება, ამას გარდა ვინც კარგად დაამთავრებს სწავლას—კომერციის კანდიდატის წოდება და საჩუქრადაც ოქროსა და ვერცხლის მედალები ეძლევა.

თხოვნები უნდა შეტანილ იქმნას დირექტორის სტატსკი სოვეტნიკის

მაქს ოსიპის ძის ფიშერის სახელზედ.

თხოვნასთან უნდა იყოს საბუთის ქაღალდები წოდებისა და ყვავილის აცრის შესახებ და დაბადებისა და მონათვლის მოწმობა. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტის კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა, № 1); იქვე მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს ეგზამენების პროგრამები და ტფილისის საკომერციო სასწავლებლის წესდება. (5—6.—4)

[illegible]

(30—44—17)